



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 234

ქალაქი ქუთაისი 30 დეკემბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 სექტემბრის №188 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და შპს „პარკინგსერვისის“ დირექტორის 17.12.2015 წლის №15044/01 მომართვის საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 სექტემბრის №188 განკარგულების პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას, შპს „პარკინგსერვისისათვის“ /ს/კ 412711230/, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა N2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილის, ფართობით – 2398.0 კვ.მ. და მასზე განთავსებული 188.86 კვ.მ. შენობა-ნაგებობის /საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.30.167/ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე“.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „პარკინგსერვისის“ შორის 2015 წლის 6 ოქტომბერს გაფორმებულ №27 უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრამის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.